ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ბ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.06.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 075/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ისთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 04 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ბ. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წელს, უძრავი ქონების გაფორმებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაუკავშირდა ადვოკატ, ა. კ.-ს. ბ. დ.-მ ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 800 აშშ დოლარი, თუმცა აღნიშნული დავა სასამართლოში აღარ გაგრძელდა, ვინაიდან

ბ. დ.-მ ქონება თავის სახელზე გაიფორმა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს მისთვის გადაცემული თანხა არ დაუბრუნა.

1.3 საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ 2016 წელს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება მის საკუთრებაში არსებულ 20 ჰა მიწასთან დაკავშირებით, რისთვისაც კვალავ დაუკავშირდა ადვოკატ ა. კ.-ს. ადვოკატმა განუმარტა, რომ გამოძიების ორგანოდან საქმე გადაეცემოდა სასამართლოს, რისთვისაც დასჭირდებოდა ადვოკატი. ა. კ.-მ საადვოკატო მომსახურებისთვის მოითხოვა 3 000 (სამი ათასი) ლარი. საჩივრის ავტორმა 1800 ლარი ჩაურიცხა საბანკო ანგარიშზე, ხოლო 1200 ლარი გადასცა ხელზე ადვოკატის ოფისში: ა.-ის ქ. NX-ში. თანხის გადაცემის შემდეგ ადვოკატს არანაირი მოქმედებები არ განუხორციელებია, არ გაუფორმა მინდობილობა და არ დაიცვა საჩივრის ავტორის ინტერესები სასამართლოში. ბ. დ. ასევე უთითებს, რომ საქმეზე მიმდინარე გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მიმართა ადვოკატს თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ა. კ.-მ არ დაუბრუნა თანხა. ამასთან, ადვოკატი არ პასუხობს სატელეფონო ზარებს.

1.5 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატ, ა. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და მისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 16 ივლისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ბ. დ.-ს სამართლებრივ დახმარებას უწევდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და ასევე სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაზე, რისთვისაც არაერთხელ შეხვდა სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ პროკურორ-გამომძიებელს, ჯემალ ლომსაძეს და ასევე მასთან ჰქონდა ხშირი სატელეფონო კომუნიკაცია.

2.2 ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბ. დ.-ის ინტერესები დაიცვა სათანადო დონეზე. ა. კ. ადასტურებს ბ. დ.-ის მიერ მისთვის 1800 ლარის გადაცემის ფაქტს.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. კ. არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი № /, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ბ. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2018 წლის 04 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015-2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 ბ. დ.-მ 2018 წლის 20 სექტემბერს ეთიკის კომისიას მომართა განცხადებით, რომლის მიხედვით ადვოკატი ა. კ. დაჰპირდა მას თანხის დაბრუნებას და შესაბამისად სურს ა. კ.-ის მიმართ დაწყებული დისციპლინური საქმის წარმოება შეწყდეს.

4.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N075/18 ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ /სიითი № / შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/